MES 4 23 0001274262

02/10/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 18 სექტემბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888

Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ქეთევან ჯანელიძე
- ელენე ბოდაველი
- ია გელენიძე
- მედეა ზურაბიშვილი
- ალექსანდრე კეკენაძე
- იაზონ დანელია
- ქეთევან ღვანიძე
- მზია ბაკურიძე
- ნინო ვასაძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი"
დირექტორი - რაინდი ლომაია
სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ირაკლი გვენეტაძე
სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ბაკურ პატარიძე

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო
დირექტორი - ნანული ზარიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - თინათინ ჭუმბაძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის

გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" (ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ლოკაცია) ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.

პირველი საკითხი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" (ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ლოკაცია) ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში" ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ლოკაციებზე განხორციელებული ვიზიტების საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 ივნისის №633026 და №633025 ბრძანებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი 14,15,16 ივნისს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ ქუთაისის ლოკაციაზე (მის: ქ. ქუთაისი, ოცხელის ქუჩა № 2 მდებარე შენობის მეხუთე და მეექვსე სართულები) და 19,20,21 ივნისს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ თბილისის ლოკაციაზე (მის: ქ. თბილისი, ბაქრაძის № 6 მდებარე შენობის მეორე და მესამე სართული) და შეაფასა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტები ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წერიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან, სასწავლო ნაწილის წარმომადგენლებთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამებთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე, შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. განხორციელდა ვიზიტი პროგრამის პრაქტიკის ობიექტებზე. ადგილზე ჩატარდა გასაუბრება აღნიშნულ გარემოზე და იქ განთავსებულ მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელ პირებთან. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ქუთაისის ლოკაციაზე ექსპერტთა მიერ, დასკვნის პროექტის ფარგლებში, 1.2.1.1; 3.1.1.1; 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.1.3; 4.1.2.1; 5.1.1.6; 5.2.2.1, ასევე პროგრამაში ფარმაცია(სააფთიაქო) 2.2.1.1; 2.2.1.2; 2.4.1.6. ინდიკატორები შეფასდა როგორც შეუსაბამო, მაგრამ კოლეჯმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებლები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები შესრულების მტკიცებულებები. სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზები, შესაბამისად, ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. ამას გარდა დაფიქსირდა 2.1.1.2 ინდიკატორის შეუსაბამობა პროგრამებისათვის „სკოლამდელი აღზრდა“ და „საექთნო საქმე“. ასევე, უნდა აღნიშნოს, რომ ქ. თბილისის ლოკაციაზე, ექსპერტთა მიერ, დასკვნის პროექტის ფარგლებში, 1.2.1.1; 3.1.1.1; 4.1.1.1; 4.1.1.2; 4.1.1.3; 4.1.2.1; 5.1.1.6; 5.2.2.1, ასევე პროგრამაში ფარმაცია(სააფთიაქო) 2.2.1.1; 2.2.1.2; 2.4.1.6. ინდიკატორები შეფასდა როგორც შეუსაბამო, მაგრამ კოლეჯმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც გაწერილია დროში, განსაზღვრულია შემსრულებლები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, სხვა ჩართული მხარეები შესრულების მტკიცებულებები. სტანდარტთან

შესაბამისობის გეგმის შესწავლით დადასტურდა, რომ კოლეჯს აქვს მზაობა აღმოფხვრას ექსპერტთა მიერ გამოვლენილი ხარვეზები, შესაბამისად, ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. ამას გარდა დაფიქსირდა 2.1.1.2 ინდიკატორის შეუსაბამობა პროგრამებისათვის „სკოლამდელი აღზრდა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „საექთნო საქმე“.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება - (ქ. ქუთაისი)
პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“
ინდიკატორი 2.1.1.2 შეფასდა როგორც შეუსაბამო, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა „საექთნო საქმე“
ინდიკატორი 2.1.1.2 შეფასდა როგორც შეუსაბამო, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება - (ქ. თბილისი)

პროგრამა „საექთნო საქმე“
ინდიკატორი 2.1.1.2 არ არის დაკმაყოფილებული. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“
ინდიკატორი 2.1.1.2 არ არის დაკმაყოფილებული. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“
ინდიკატორი 2.1.1.2 არ არის დაკმაყოფილებული. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები ვერ უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება - (ქ. ქუთაისი)

ინდიკატორი 1.2.1.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ბოლო ექვსი წლის მანძილზე ძალიან ხშირად აქვს ახლიდან დამტკიცებული სტრატეგიული გეგმები, რაც მიუთითებს ამ პროცესის გაუმჯობსების აუცილებლობაზე, რეკომენდებულია, დაწესებულებამ მოიწვიოს გარე ექსპერტი (სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებით).
ინდიკატორი 3.1.1.1- საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით,

დაწესებულებამ გადაამუშაოს საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული რეგულაციები კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

ინდიკატორი 4.1.1.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია მკაფიოდ განსაზღვროს კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.

ინდიკატორი 4.1.1.2. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - განსაზღვროს კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები ისე, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ემსახურებოდეს ერთიან გამართულ საგანმანათლებლო პროცესს. ამისათვის თვისთავად უნდა გადამუშავდეს მარეგულირებელი დებულებები და სამუშაო აღწერილობები.

ინდიკატორი 4.1.1.3. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - გადაამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობები და გადამზადდეს ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, რათა სამუშაოს შესრულებისას გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტები.

ინდიკატორი 4.1.2.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს შრომითი ხელშეკრულების ფორმა და მოიყვანოს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და თანამშრომლებთან ხელშეკრულებები ახალი რედაქციით გააფორმოს. ასევე ხელშეკრულებ(ებ)ით დაარეგულიროს თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვა, რათა არ დაირღვეს შრომის კოდექსით დაშვებული ნორმები.

ინდიკატორი 5.1.1.6 საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმი, ასევე, მოახდინოს მასალების და მატერიალური რესურსების მართვა სპეციალური ჟურნალის წარმოებით, რათა პროცესი გახდეს გამჭვირვალე და შეფასებადი. ზოგადად, კოლეჯმა იმოქმედოს თავისივე დადგენილი წესების შესაბამისად.

ინდიკატორი 5.2.2.1 - კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - გადაამუშავოს საქმისწარმოების წესი, მოიყვანოს საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში და დაარეგულიროს კოლეჯში მიმდინარე საქმისწარმოების ყველა პროცესი სრულფასოვნად. მათ შორის დარეგულირდეს, თუ როგორ ხდება მკაცრი აღრიცხვის ფორმების შევსება, დიპლომის ან/და სერტიფიკატის გაცემა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა, გაცემული დიპლომის ან/და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის შეცვლა პირად მონაცემებში ცვლილებისა და ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში და სხვა. დარეგულირდეს ასევე მკაცრი აღრიცხვის ფორმების, დიპლომისა და სერტიფიკატის გაცემის რეგისტრაციის ჟურნალების წარმოების წესი. არსებული მკაცრი აღრიცხვის ჟურნალები აიკინძოს შესაბამისი წესით.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება პროგრამისათვის „ფარმაცია(სააფთიაქო)“ – (ქ. ქუთაისი)

ინდიკატორი 2.2.1.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დროულად უზრუნველყოს ფარმაციის ლაბორატორიისთვის პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შეძენა და დაზიანებული ინვენტარის შეძენა/აღდგენა.

ინდიკატორი 2.2.1.2. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - პროფესიული მოდულების განხორციელება უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლებით.

ინდიკატორი 2.4.1.6. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - გაუზიაროს ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებს პროგრამისათვის „ფარმაცია(სააფთიაქო)“ შემუშავებული ,,ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია“,(წარმოდგენილ იქნა თბილისში ვიზიტის დროს), რომელიც არეგულირებს ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის, უსაფრთხოების ზოგად და ტექნიკურ წესებს, რომლის დაცვა ევალება ლაბორატორიაში მყოფ ყველა პირს. რეგულაციის განვითარებისათვის შესაძლებელია მისი კიდევ უფრო დახვეწა. ასევე, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც სრულიად შესაძლებელია ბევრად მოკლე დროში განხორციელდეს, ვიდრე შესაბამისობის გეგმაშია გაწერილი, რათა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას არ შეეშალოს ხელი

შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება - (ქ. თბილისი)

ინდიკატორი 1.2.1.1. საზოგადოებრივმა კოლეჯმა „კავკასიონი“ გადახედოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას, განსაზღვროს ინფორმაციის რა წყაროებს ეყრდნობა დაწესებულება დაგეგმვისას; გეგმის ვადის ამოწურვამდე რამდენი ხნით ადრე იწყებს ახალ გეგმაზე მუშაობას, რათა შენარჩუნებული იყოს პროცესების უწყვეტობა; რა შემთხვევებში შედის ცვლილება სტრატეგიულ თუ სამოქმედო გეგმაში. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ბოლო ექვსი წლის მანძილზე ძალიან ხშირად აქვს ახლიდან დამტკიცებული სტრატეგიული გეგმები, მიუთითებს ამ პროცესის აუცილებლობაზე. რეკომენდებულია დაწესებულებამ მოიწვიოს გარე ექსპერტი (სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებით).

ინდიკატორი 3.1.1.1- საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს საგანამანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულება და სტატუსთან დაკავშირებული რეგულაციები მოიყვანოს შესაბამისობაში კანონის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.1.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - განსაზღვროს მკაფიოდ კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები.

ინდიკატორი 4.1.1.2. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - განსაზღვროს კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები ისე, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ემსახურებოდეს ერთიან გამართულ საგანმანათლებლო პროცესს. ამისათვის თვისთავად უნდა გადამუშავდეს მარეგულირებელი დებულებები და სამუშაო აღწერილობები.

ინდიკატორი 4.1.1.3. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - გადაამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობები და გადამზადდეს ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, რათა გამოირიცხოს სამუშაოს შესრულებისას ინტერესთა კონფლიქტები

ინდიკატორი 4.1.2.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს შრომითი ხელშეკრულების ფორმა და მოიყვანოს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და თანამშრომლებთან ხელშეკრულებები ახალი რედაქციით გააფორმოს. ასევე, ხელშეკრულებ(ებ)ით დაარეგულიროს თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვას, რათა არ დაირღვეს შრომის კოდექსით დაშვებული ნორმები.

ინდიკატორი 5.1.1.6 საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ

გადაამუშაოს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმი. ასევე, მოახდინოს მასალების და მატერიალური რესურსების მართვა სპეციალური ჟურნალის წარმოებით, რათა პროცესი გახდეს გამჭვირვალე და შეფასებადი. ზოგადად, კოლეჯმა იმოქმედოს თავისივე დადგენილი წესების შესაბამისად.

ინდიკატორი 5.2.2.1-კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - გადაამუშავოს საქმისწარმოების წესი, მოიყვანოს საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში და დაარეგულიროს კოლეჯში მიმდინარე საქმისწარმოების ყველა პროცესი სრულფასოვნად. მათ შორის დარეგულირდეს, თუ როგორ ხდება მკაცრი აღრიცხვის ფორმების შევსება, დიპლომის ან/და სერტიფიკატის გაცემა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა, გაცემული დიპლომის ან/და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის შეცვლა პირად მონაცემებში ცვლილებისა და ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში და სხვა. დარეგულირდეს ასევე, მკაცრი აღრიცხვის ფორმების, დიპლომისა და სერტიფიკატის გაცემის რეგისტრაციის ჟურნალების წარმოების წესი. არსებული მკაცრი აღრიცხვის ჟურნალები აიკინძოს შესაბამისი წესით.

ზოგადი განმავითარებელი რეკომენდაციები - (ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის ლოკაცია)

1. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომელიც ასახავს დაგეგმვის/საქმიანობის პროცესში სხვადასხვა პირების ჩართულობას, რეკომენდებულია დაწესებულებაში იდენტიფიცირდეს საგანმანათლებლო საქმიანობის სწორად წარმართვისათვის საჭირო ყველა პროცესი, შემდეგ აღიწეროს და დადგინდეს პროცესების ურთიერთკავშირი, განისაზღვროს ჩართული მხარეები და შემდგომ ამისა გაიწეროს რეალური სამუშაო აღწერილობები. შემუშავდეს მარეგულირებელი დოკუმენტების განახლების, ცვლილებების განხორციელების პროცედურები. ყველა თანამშრომელი ზედმიწევნით გაეცნოს დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტაციას, საკუთარ სამუშაო აღწერილობებს. თანამშრომლებზე დელეგირდეს სწორად გაწერილი ვალდებულებები, მოხდეს გარკვეული პროცესების დეცენტრალიზაცია, რათა საქმიანობა გახდეს უფრო თანამონაწილეობითი.
2. ვინაიდან კოლეჯი ფუნქციონირებს სხვადასხვა რეგიონში, რომლებიც დაშორებულია ერთმანეთისგან, სასურველია, გამოყენებული იქნას საქმისწარმოებაში ერთიანი მიდგომები. კერძოდ, კონსოლიდირებული მარეგულირებელი დოკუმენტების თუ საგანმანათლებლო პროცესში საჭირო სხვა მასალის, მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილ იქნას ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით. მაგალითად, დოკუმენტაცია ატვირთული იყოს ონლაინ პლატფორმაზე, სადაც კოლეჯის თანამშრომლებს კომპეტენციის ფარგლებში ექნებათ წვდომა. ეს გააიოლებს საქმისწარმოებას და ვთქვათ, მსგავსი ვიზიტის დროს უფრო მობილურს და მოქნილს გახდის ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისათვის. ასევე, მონიტორინგის, თუ სხვა საქმისწარმოების დროს სასურველია წინასწარ იქნას მომზადებული/მობილიზებული და მოწესრიგებული წარსადგენი დოკუმენტაცია.
3. რეკომენდებულია კოლეჯმა შეიძინოს დაშვება ავტორიზირებულ გვერდ სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საძიებო სისტემაში matsne.gov.ge, რათა ქონდეს წვდომა საკანონმდებლო დოკუმენტებთან.
4. კოლეჯში ფუნქციონირებს ყველა პროფესიული პროგრამისთვის საერთო სარგებლობის მხოლოდ ორი კომპიუტერული კლასი (თბილისში 20-20 სტუდენტზე, ხოლო ქუთაისში 24-24 სტუდენტზე), რეკომენდებულია სასწავლებელმა დაამატოს კიდევ ერთი აუდიტორია, რომელიც იქნება აღჭურვილი B სასწავლო გარემოსთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსებით. ასევე, დამატებით მოაწყოს A გარემო, რაც საშუალებას მისცემს კოლეჯს ჩაშალოს დიდი ჯგუფები შედარებით მცირე ჯგუფებად, რაც გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს.
5. სასურველია, დაწესებულებამ მეტი ყურადღება მიაქციოს ჩატარებული შეხვედრების, ღონისძიებების, პროექტების განხორციელების მტკიცებულებების დაცვას. დოკუმენტურად დაადასტუროს საკუთარი აქტივობები.

განმავითრებელი რეკომენდაციები ინდიკატორების შესაბამისად - (ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის ლოკაცია)

ინდიკატორი 1.2.1.1 სასურველია დაწესებულებამ SWOT ანალიზის შედგენისას უკეთ გაიაზროს შესაძლებლობების პუნქტი, კერძოდ - შესაძლებლობად განიხილავს ახალი პროფესიული პროგრამებისათვის თანამედროვე მატერიალურ/ტექნიკური ბაზის შექმნას და ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების გადამზადება /კვალიფიკაციის ამაღლებას. აღნიშნული პუნქტების განხორციელება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას გულისხმობს და არა შესაძლებლობას.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაწესებულებამ შეიმუშაოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარების წესი და პროცედურები და ასახოს შესაბამის დოკუმენტში.

ინდიკატორი 3.1.1.1. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების ვადად „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები“ 61-ე მუხლში მითითებულია 3 წელი, (ბრძანებით განსაზღვრულია 5 წელი), ხოლო 63-ე მუხლში არის ჩანაწერი, რომ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობაა „თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს 5 წელიწადი“. დაწესებულებამ დააკორექტიროს აღნიშნული უზუსტობა.

ინდიკატორი 3.1.1.4. დაწესებულებამ დააზუსტოს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, კერძოდ, დააზუსტოს ვისთან ფორმდება ხელშეკრულება

ინდიკატორი 3.1.1.5 გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები პროფესიის შესწავლამდე ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების გავლას, ინდ. გეგმის შედგენის წინაპირობა ვერ იქნება ენობრივი ბარიერი. დაწესებულებამ უზრუნველყოს ინგ.გეგმის შედგენის საფუძვლების დაკორექტირება

ინდიკატორი 3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტში დეტალურად გაწეროს სტუდენტთათვის ადმინისტრაციული მომსახურების ვადები, კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.2.1.4- სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დოკუმენტურად ასახოს სტუდენტთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.2.2 დაწესებულებამ რეგულაციაში გაწეროს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და ბაზების წარმოებასთან/მართვასთან დაკავშირებული პროცედურები

ინდიკატორი 3.2.2.4 სამომავლოდ დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებამ გარდა სტატისტიკის წარმოებისა, გამოიკვლიოს დასაქმების მაჩვენებელზე ზემოქმედების ფაქტორები და აღნიშნული ინფორმაცია გაითვალისწინოს საჭიროებისამებრ (მაგ. პროგრამის გაუმჯობესება, მეტი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, ახალი დამსაქმებლების მოძიება და ა.შ.).

ინდიკატორი 4.1.2.2. გადაიხედოს კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიზანშეწონილობა; რიგი პოზიციებისათვის (მაგალითად: საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, IT მიმართულება) საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაიშვას პროფესიული განათლებაც, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით არსებობს პროფესიული კვალიფიკაციები, კოლეჯი თავადვე უნდა ახდენდეს პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების წახალისებას.

ინდიკატორი 4.1.2.3 საშტატო განრიგით განსაზღვრული, რიგი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში განსაზღვრულია კომპიუტერული პროგრამების ცოდნა. პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი არც სერტიფიკატი, არც გასაუბრების/ტესტირების ოქმი, რაც დაადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან შესაბამისობას, კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი განთავსებულია მხოლოდ ერთი პირის პირად საქმეში. IT სპეციალისტთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კომუნიკაციით დადგინდა, რომ ისინი ფლობენ კომპიუტერულ პროგრამებს. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს

პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება(სერთიფიკატი/დიპლომი/დოკუმენტი) ან დაწესებულებამ თავად უზრუნველყოს გასაუბრების ან შიდა ტესტირების დოკუმენტირება.

ინდიკატორი 4.2.1.4 -კოლეჯმა გაწეროს რეალურ პრაქტიკაში დანერგილი გამოცდილება მარეგულირებელ წესში, განსაზღვროს ახალი თანამშრომლ(ებ)ის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესში ჩართულ პირთა პასუხისმგებლობები.

ინდიკატორი 5.1.1.1 რეკომენდებულია დაწესებულებამ შეასრულოს თავისივე დამტკიცებული რეგულაციით გაწერილი ვალდებულება და აწარმოოს მატერიალური რესურსების/მასალა ნედლეულის გაცემის ჟურნალი, ან გაიაზროს საკუთარი გამოცდილება და შექმნას შესაბამისი რეგულაცია.

ინდიკატორი 5.1.1.3 ვინაიდან კოლეჯში არ არსებობს კვების ბლოკი, შესაბამისად, არც სამჯერადი კვება არ მიმდინარეობს, ასევე, კოლეჯში არ არის საბავშვო ოთახები და სასადილო მაგიდები (არც ქუთაისში, არც თბილისის ფილიალში), რეკომენდებულია აღნიშნული წესი მოერგოს კოლეჯის რეალობას.

ინდიკატორი 5.1.1.7 რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადამუშავება, დაწესებულების რესურსების შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილ იქნას მატერიალური რესურსების აღრიცხვა და დადგენილი რეგულაციების პრაქტიკულად შესრულება.

ინდიკატორი 5.1.1.11 ბიბლიოთეკის დებულების თანახმად „კოლეჯის ბიბლიოთეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო- ინფორმაციულ ორგანოს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები სტუდენტების, აკადემიური და პროფესიული მასწავლებლების, აგრეთვე კოლეჯის გარე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.“ სასურველია, დაზუსტდეს ჩანაწერი აკადემიური და პროფესიული მასწავლებლებთან დაკავშირებით. პროფესიულ განათლებაში კანონი ცნობს პროფესიული განათლების მასწავლებელს, შესაბამისად, ცნება აკადემიური მასწავლებელი, პროფესიულ განათლებაში არ გამოიყენება. სასურველია დაკორექტირდეს ჩანაწერი.

ინდიკატორი 5.1.1.11 ბიბლიოთეკის დებულებაში არის ჩანაწერი „ბიბლიოთეკიდან მასალის ფარულად გატანას ან/და ასეთის მცდელობას თან სდევს შესაბამისი პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან ერთად, შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, ხოლო პერსონალ-აბონენტთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა“. ვინაიდან, სტატუსის შეწყვეტა არის მნიშვნელოვანი პროცესი და დაკავშირებულია სტუდენტის უფლებებთან, რეკომენდებულია, დაწესებულებამ თავის წესში დააზუსტოს აღნიშნულ საკითხთან არსებული ჩანაწერი და რეგულაცია ამ ნაწილში გახადოს უფრო გამჭვირვალე. მაგალითად, როგორ ხდება ფაქტის დადგენა/დადასტურება, ვინ აკეთებს განაცხადს, კონკრეტულად რა სამართლებრივი საფუძველით მოხდება შეწყვეტა, სხვა რა ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაეკისროს პირს მასალის ფარულად გატანასთან დაკავშირებით და სხვა.

ინდიკატორი 5.1.1.11 ბიბლიოთეკის დებულებაში, ასევე, არის ჩანაწერი „წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში აბონენტს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა დაკარგული (დაზიანებული) მასალის ღირებულების ათმაგი ოდენობის ანაზღაურება კოლეჯისთვის“ აქაც, სასურველია, დაწესებულებამ დააზუსტოს რაზე დაყრდნობით ხდება ათმაგი ღირებულების დაანგარიშება, და რა მიიჩნევა მასალის დაზიანებად. რატომ არ შეიძლება ვთქვათ ჩაანაცვლოს იგივე წიგნით/მასალით.

ინდიკატორი 5.1.2.2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები შესაბამისობაში მოვიდეს კოლეჯში არსებულ პრაქტიკასთან, გაიწეროს პრაქტიკაში დამტკიცებული ჟურნალის წარმოების რეგულაცია და ჩანაწერები მედიკამენტების შესახებ ამოღებულ იქნას წესიდან.

ინდიკატორი 5.2.1.3. რეკომენდებულია გადამუშავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, გაიწეროს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობის მოპოვების გზები, დაზუსტდეს მტკიცებულებები. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმდეს დოკუმენტურად შეთანხმებები ამავე საკითხზე.
ინდიკატორი 5.2.3.4.კატალოგში წარმოდგენილია რუბრიკა „ახალი სასწავლო წლის დასაწყისში პირველი კურსის სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრა". პროფესიული განათლებაში კურსის ცნება არ არის დამკვიდრებული, სასურველია დაწესებულებამ გამოიყენოს უფრო რელევანტური ჩანაწერი.

ზოგადი განმავითარებელი რეკომენდაციები ყველა პროგრამისათვის - (ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის ლოკაცია)
პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების რეგულაციაში არ იკვეთება პროგრამის ხელმძღვანელისა და მოდულის განმახორციელებელი პირების, სასწავლო ნაწილის როლები. არ არის დაზუსტებული შემუშავებისათვის საჭირო ეტაპები, პროცესები. შესაბამისად რეკომენდებულია აღნიშნული რეგულაცია გადამუშავდეს.
ინდიკატორი 2.1.1.3 გადამუშავდეს ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.(იხ.ინდიკატორის აღწერა) ინდიკატორი 2.4.2.1 დაწესებულებამ დააზუსტოს ჩანაწერი მეორე განმეორებითი შეფასების გადასახადის შესახებ, გაწეროს გადასახადის ღირებულების დადგენის პრინციპები, რათა პროცესი გახდეს გამჭვირვალე.
ინდიკატორი 2.4.2.1 ვალიდაციის ჩეკ-ლისტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს შეფასების ინსტრუმენტიც, ასევე გამოკითხვის მიმართულებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეფასების ინსტრუმენტის გასაღები (სწორი პასუხები), რათა იდენტიფიცირდეს კონკრეტულად რომელი შეფასების ინსტრუმენტია ვალიდური.
ინდიკატორი 2.4.2.1 ჩეკ-ლისტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს შეფასების ინსტრუმენტიც, ასევე გამოკითხვის მიმართულებით ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეფასების ინსტრუმენტის გასაღები(სწორი პასუხები), რათა იდენტიფიცირდეს კონკრეტულად რომელი შეფასების ინსტრუმენტია ვალიდური.

განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამისათვის „სკოლამდელი აღზრდა" – (ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის ლოკაცია)
ინდიკატორი 2.2.1.1. ვინაიდან კოლეჯს პროფესიული მოდულების განხორციელებისათვის შესაბამისი A გარემო აქვს 38 სტუდენტზე, იგი გეგმავს ყოველწლიურად მიიღოს 76 სტუდენტი, ლექციების ჩატარება მოუწევს ორ ჯგუფად. წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ფარგლებში(წარმოდგენილია მხოლოდ ერთი გეგმა) ორივე ჯგუფს ერთნაირი თანმიმდევრობით ჩაუტარდებათ ლექციები, რეკომენდებულია მოდულისათვის „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" დაამატოს განმახორციელებელი, ვინაიდან აღნიშნული მოდული მხოლოდ ერთი განმახორციელებლითაა წარმოდგენილი.
ინდიკატორი 2.2.1.2. ვინაიდან სწავლება უნდა განხორციელდეს ორ-ორ ჯგუფად, რეკომენდებულია დაწესებულებამ დამატებით მოიწვიოს დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები.

განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამისათვის „საექთნო საქმე" - (ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის ლოკაცია)

ინდიკატორი 2.1.1.3 ვინაიდან დაწესებულებას აქვს საშუალება, რომ დამატებით მოაწყოს A გარემო, ადამიანური რესურსების რაოდენობაც იძლევა საშუალებას, სწავლა განახორციელოს ორ ჯგუფად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სალექციო პროცესში პროფესიული სტუდენტების უფრო თანაბარი და აქტიური ჩართულობა.

ინდიკატორი 2.1.1.4 განმავითარებელი რეკომენდაცია: განხორციელდეს მოდულებში საკანონმდებლო ბაზის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების განახლება, ძალადაკარგული რეგულაციები ჩანაცვლდეს ახლით (ინფექციის კონტროლის გაიდლაინები, საკანონმდებლო აქტები და. სხვ).

განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამისათვის „ფარმაცია(სააფთიაქო)" - (ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის ლოკაცია)

ინდიკატორი 2.1.1.3. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებასთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებებში სააფთიაქო ქსელებთან-შპს ,,იბერფარმა+"-თან და შპს ,,ნეოფარმა+" სთან შეიცვალოს რიგ მოდულებში მოდულების სახელწოდებები(ბოლო ცვლილების გამოქვეყნების თარიღი: 13/12/2021 ცვლილება):
1. არის-მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; უნდა იყოს: „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა"
2. არის-მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატებისშერჩევა;უნდა იყოს: „მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა";
3. არის-პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; უნდა იყოს: „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი".
ინდიკატორი 2.1.1.4. რეკომენდირებულია:
მოდულების: „ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები" (0911025) ; „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში" (0911021); განხორციელებისათვის გათვალისწინებული რესურსების ჩანაცვლება მოხდეს ახალი ნორმატიული აქტებით.
მოდულის „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში (0911021) ადაპტირებისას გაითვალისწინონ, რომ საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე უნდა განხორციელდეს მოდულის მე-5 შედეგი- ,,სანიტარიულ - ჰიგიენური წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში".
ინდიკატორი 2.1.1.5. თვითშეფასებაში ჩაწერილია რომ კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.უნდა იყოს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს.
ინდიკატორი 2.2.1.1. გამომდინარე იქედან ,რომ .შპს ,,ავერსი - ფარმა"-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, სასურველია პროგრამის მდგრადობისათვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, კერძოდ 1.შპს,,იბერიაფარმა+" სთან ((ხელშეკრულება N -64-3, 11.02.2021)და 2.შპს ,,ნეოფარმა+" სთანაც (ხელშეკრულება N - 78, 30.06.2021); შევიდეს ანალოგიური ცვლილებები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები - (ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის ლოკაცია)
ექსპერტის განცხადებით, მატერიალური რესურსების მართვის თაობაზე შედგა გასაუბრება კოლეჯის მატერიალურ რესურსებზე პასუხისმგებელ პირთან. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ შესყიდვების საჭიროებისას პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებული საბოლოო სია გადაეცემა დირექტორს, რომლის შეძენასაც უზრუნველყოფს თავად დირექტორი (მუხლი 59. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების გამოყენების რეგულაცია, პუნქტი 2). დაწესებულების ამავე დებულებაში წერია, რომ ქონების მართვისა და უსაფრთხოების სამსახური (იგივე ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური) დირექტორის თანხმობით შეძენილ რეაქტივებს/მასალებს

გადასცემს პროფესიულ მასწავლებელს. სასურველია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში ერთი და იგივე სამსახური ან საშტატო ერთეული მოხსენიებულ იქნას დადგენილი, იდენტური სახელით, და არ მოხდეს სხვადასხვა მუხლში/პუნქტში სახელწოდების ცვლა. პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა რესურსების მოთხოვნის, გაცემის შესახებ განცხადებები და მიღება-ჩაბარების აქტები, თუმცა, წარმოდგენილი მასალა სრულად ვერ ასახავდა პროცესს. დაწესებულებას ზემოთხსენებულ დებულებაში გაწერილი აქვს, რომ რესურსებისა და მასალა-ნედლეულის გაცემის დროს ინფორმაცია აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში (მიღების) ხელმოწერით. კონტროლს გახარჯული რეაქტივების/მასალების შესახებ აწარმოებს თვითონ პროფესიული მასწავლებელი. ამგვარი აღრიცხვის ჟურნალი დაწესებულებას არ წარმოუდგენია. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. მასალების და მატერიალური რესურსების მართვა ხორციელდება დოკუმენტირების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება კოლეჯის დადგენილ რეგულაციას, რომ რესურსების გაცემა უნდა აღირიცხოს სპეციალურ ჟურნალში და დადასტურდეს ხელმოწერით. დაწესებულებამ წარმოადგინა აღრიცხვის ჟურნალი, თუმცა იგი იყო შეუვსებელი. კოლეჯს არა აქვს დაცული ფარმაციის პროგრამაში საჭირო ქიმიური ნივთიერებების შენახვისა და დაცვის მექანიზმები. შენახვისა და გაცემის წესები არ არის სრულფასოვნად ასახული არც რეგულაციაში. ვიზიტის პერიოდში ჩაიმტვრა ფარმაციის ლაბორატორიაში მდგარი მინის კარადა, რომელშიც ინახებოდა ქიმიური ნივთიერებები. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ნივთიერებებს არ ჰქონდა მითითებული დასახელებები და ვარგისიანობის ვადები. ამასთან ქიმიური ნივთიერებები უნდა ინახებოდეს დახურულ, დაცულ სათავსში, თუმცა, საზოგადოებრივმა კოლეჯმა „კავკასიონი“ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიება, რომელთა შესრულებაც დაგეგმილია 2024 წლის 5 თებერვლამდე. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მათ სრული მხარდაჭერა აქვთ კოლეჯის IT პასუხისმგებელი პირის მიერ. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ – (ქ. ქუთაისი)

ექსპერტის განცხადებით, სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებებში, თავი 13, მუხლი 60. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი. ამავე დებულებაში განსაზღვრულია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის და მობილობის წესები. ვიზიტის დროს სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლისას გაირკვა შემდეგი გარემოება, რომ პროგრამაზე 2022 წლის მიღებაზე ჩარიცხულ იქნა პირი დაშვების წინაპირობის შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის

წარმოდგენის გარეშე პირადი განცხადების საფუძველზე, რომ წარმოადგენდა სკოლის ატესტატს, თუმცა, მისი მხრიდან დოკუმენტის წარმოდგენა არ მოხდა და სწავლების მეექვსე თვეს კოლეჯმა სტატუსი შეუჩერა. კოლეჯის რეგულაციაში ჩანაწერი: „თუ აპლიკანტი სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე ვერ წარმოადგენს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, მას შეიძლება მიენიჭოს სტუდენტის სტატუსი და განცხადების საფუძველზე, სადაც აღწერილი იქნება დოკუმენტის ვერ წარმოდგენასთან დაკავშირებული მდგომარეობა, დირექტორის ბრძანებით შეიძლება აღნიშნული დოკუმენტის წარმოსადგენად მიეცეს გონივრული ოთხი-ექვს თვიანი ვადა, დოკუმენტის ვერ წარმოდგენის შემთხვევაში მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. (საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები მუხლი 60. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი.) შესაბამისად, კოლეჯმა დაარღვია მისივე რეგულაცია და აღნიშნულ პირს შეწყვეტის მაგივრად შეუჩერა სტატუსი.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 76 პროფესიული სტუდენტი. იმის გამო, რომ დაწესებულების B გარემო მხოლოდ 20 სტუდენტზეა გათვლილი, კოლეჯს მოუწევს ჯგუფის გაყოფა მოდულისათვის „ინფორმაციული წიგნიერება 2“. ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმების ჭრილში შეისწავლა B გარემოს გამტარობა და დაადგინა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვა შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან აღნიშნულ გარემოს იყენებს დანარჩენი ოთხი პროგრამის განხორციელებისათვის (B გარემო). აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია დაწესებულების სასწავლო ნაწილთან. ექსპერტებთან საუბრის შემდეგ დაწესებულებამ გადაამუშავა საექთნო საქმისა და ფარმაციის პროგრამების სასწავლო გეგმები და დაამტკიცა ახალი რედაქციით, რამაც დაწესებულებას საშუალება მისცა შეემსუბუქებინა აღნიშნული გარემოს დატვირთვა. წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 38 პროფესიულ სტუდენტზე. პროფესიული მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან. აღნიშნული მემორანდუმი გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და მიზნად ისახავს სკოლამდელი განათლების მხარდაჭერას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“ (ქ. ქუთაისი)

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯმა წარმოადგინა 2022 წლის მიღების სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც პროგრამაზე საექთნო საქმე კოლეჯში პირველად ჩარიცხვაზე დაწესებულების მიერ გამოცხადდა 155 ადგილი და დარეგისტრირდა 266 აპლიკანტი, ხოლო მეორადი ჩარიცხვაზე გამოცხადდა 41 და დარეგისტრირდა 20 აპლიკანტი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის დანართი) და სასწავლო რესურსი, რომლებიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. დაწესებულებას პროგრამის თეორიული სწავლებისათვის გამოყოფილი აქვს A და B სასწავლო გარემო. პრაქტიკული სწავლის შედეგები, რომლებიც არ მიიღწევა სასწავლო კოლეჯში, გატანილია პრაქტიკის ობიექტებზე- სამედიცინო დაწესებულებებში. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროგრამა „საექთნო საქმის“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის რელევანტურობა, რესურსების შემოწმებისას დადგინდა, რომ რამდენიმე საკანონმდებლო რეგულაცია იყო ძალადაკარგული. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა

გასაუბრება მოდულის განმახორციელებელ პირებთან, გასაუბრებით დადგინდა, რომ სწავლების დროს ხდება განახლებული რეგულაციების გამოყენება, თუმცა ეს არ არის ასახული მოდულში.

ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ერთი A და B გარემო. A გარემო აღჭურვილია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით 48 (2 ცვლაში 96 სტუდენტზე) პროფესიულ სტუდენტზე.კოლეჯი კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნით თანამშრომლობს შემდეგ ობიქტებთან: სს „ევექსის ჰოსპიტლები, ა(ა) იპ საქველმოქმედო ფონდი „კარიტასი“, შპს „ქალაქ ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“, შპს ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო, შპს „კლინიკა ბომონდი და ა.შ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის „ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს20 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 15 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტის და სასწავლოგეგმის შედარების შედეგად დადგინდა, რომ არცერთი განმახორციელებლის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო), (ქ. ქუთაისი)

ექსპერტის განცხადებით, ფარმაციის პროგრამაში რიგ მოდულებზე კოლეჯი ადგილზე უზრუნველყოფს მოდულის განხორციელებისა და შედეგების დადასტურებისათვის საჭირო აღჭურვილობას. მოდულების ნაწილი ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე რომლებსაც გააჩნია საქმიანობის განხორციელების ნებართვა. პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფენ ჯამში შესაბამისი სტუდენტების რაოდენობის გატარებას. კოლეჯს აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების აღრიცხვის ინვენტარიზაციის აქტი და მასში ასახული ყველა ინვენტარი კოლეჯის საკუთრებაა, რომელიც დასტურდება შესაბამისი ბუღალტრული დოკუმენტაციით. წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ერთი A და ერთი B გარემო და ერთი C გარემო. A გარემოს აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით 56 პროფესიულ სტუდენტზე. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა, რომ თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია საჭირო რესურსი 56 პროფესიულ სტუდენტზე, კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს სულ 104 მაგიდა და სკამი, 3 კომპიუტერი, 3 დაფა, 3 პროექტორი, 3 კომბაინი,3 ფლიპჩარტი და 3 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 112 პროფესიული სტუდენტი (ორი ცვლის გათვალისწინებით). დაწესებულებას ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან, კერძოდ:შპს „ავერსი-ფარმა, შპს,,იბერიაფარმა+“ და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ანდაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლორესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“ (ქ. ქუთაისი)

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო „საფინანსო სერვისების“ პროგრამის განხორციელებისდასაბუთება, რომელიც ეფუძნებოდა მხოლოდ პარტნიორებთან კონსულტაციებს და აპლიკანტების მომართვიანობის მზარდმონაცემებს. გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლებელი მოელის, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება სტუდენტების ნაკადი, რადგანაქამდე მოცემულ პროგრამაზე რიგ კოლეჯებს ჰქონდათ სახელმწიფო დაფინანსება, ამიტომ არათანაბარ კონკურენციაშიიმყოფებოდნენ. ამ ეტაპზე მოცემული პროგრამა სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტული პროგრამების ნუსხაში მოხვდა, შესაბამისად,სტუდენტები ისარგებლებენ სახელმწიფო დაფინანსებით. ამიტომაც სასწავლებელი გეგმავდა სტუდენტების რაოდენობისგაზრდას 31 სტუდენტიდან 48 სტუდენტამდე. ექსპერტებთან გასაუბრების შემდეგ სასწავლებელმა სიტყვიერად შეამცირასტუდენტების კვოტა და განსაზღვრა - 24 პროფესიული სტუდენტით. პროგრამა მოიცავს ზოგად და სავალდებულო მოდულებს, ინფორმაციას პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმებს ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ საჭიროებს A, B და C სასწავლო გარემოს. შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - აუდიტორია (A), რომელიც აღჭურვილია 20 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტისთვის, ასევე აუდიტორია B სასწავლო გარმოსთვის, რომელშიც განთავსებულია 20 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთულია საბანკო პროგრამის “Alta” დემო ვერსია. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება სს ნიკორა ტრეიდი, სს ლიბერთი ბანკი, „ორი ნაბიჯი. „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან: 1. ზოგადი მოდულებისთვის 7 განმახორციელებელი; 2. პროფესიული მოდულებისთვის - 2 განმახორციელებელი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთი პროფესიული მოდულების მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული მთლიანი კვირეული დატვირთვით „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის მოდულების განხორცილებაზე, შესაბამისად, თუ მომავალში ორ-ორი ჯგუფი შეიქმნა “ბუღალტრულ აღრიცხვასა” და “საფინანსო სერვისებში”, თუნდაც ორ ცვლაში მოცემული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა გადააჭარბებს 40 საათს.

ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე ეტაპზე პროფესიული მასწავლებლების კვირის დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიული მასწავლებლების მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით თავი 14 მუხლი 69. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სასწავლებელში დარგობრივი მოდულების მხოლოდ ორი განმახორციელებელია, ორი ჯგუფის პარალელურ რეჟიმში სწავლების შემთხვევაში შესაძლოა კვირეულმა დატვირთვამ გადააჭარბოს 40 საათს და საფრთხე შეუქმნას განხორციელების მდგრადობას. მიმდინარე ეტაპზე პროფესიული მასწავლებლების კვირის დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს

დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“ (ქ. ქუთაისი)
ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ საჭიროებს მხოლოდ A და B სასწავლო გარემოს, (მოცემული პროგრამა არ მოითხოვს C სასწავლო გარემოს). შესაბამისად შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - A სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია 34 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება - 1 მონიტორი; ასევე B სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული აუდიტორია, რომელშიც განთავსებულია 34 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამის „Oris” დემო ვერსია. აგრეთვე 1 დაფა, 1 პრინტერი და 1 მონიტორი დემონსტრირებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები. მატერიალური რესურსის რაოდენობა იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის შესაძლებლობას. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან: - ზოგადი მოდულებისთვის 6 განმახორციელებელი, პროფესიული მოდულებისთვის 3 განმახორციელებელი.

ექსპერტის განცხადებით, აღსანიშნავი იყო, რომ ერთი პროფესიული მოდულების მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული მთლიანი კვირეული დატვირთვით “საფინანსო სერვისების“ პროგრამის მოდულების განხორცილებაზე. შესაბამისად, თუ მომავალში ორ-ორი ჯგუფი შეიქმნა ბუღალტრულ აღრიცხვასა და საფინანსო სერვისებში, თუნდაც ორ ცვლაში მოცემული მასწავლებლის კვირეულმა დატვირთვამ შესაძლოა გადააჭარბოს 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს, შესაბამისად ყველა შედეგი ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (ქ. ქუთაისი)
ექსპერტის განცხადებით, პსდ-ს მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 44 პროფესიული სტუდენტით (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ABC სასწავლო გარემო. აღნიშნულ სასწავლო გარემოში განთავსებულია მაგიდები და სკამები პროფესიული სტუდენტისთვის და პროფესიული მასწავლებლისთვის. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ეყრდნობა A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობას. დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას, გათვალისწინებული აქვს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მატერიალური რესურსი, ასევე პრაქტიკის ობიექტების გამტარიანობა ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაში კოლეჯი ადგილზე უზრუნველყოფს მოდულის განხორციელებისა და შედეგების დადასტურებისათვის ყველა საჭირო აღჭურვილობას. მოდულით გათვალისწინებული ექსკურსია ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფენ ჯამში შესაბამისი სტუდენტების რაოდენობის გატარებას. რაც დასტურდება პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამისთვის

„ინფორმაციისტექნოლოგია“ გამოყოფილია აუდიტორიები (A/B გარემოები) შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით მეხუთე სართულზე, კერძოდ: B გარემოსთვის მე-4 და მე-8 აუდიტორია უზრუნველყოფილია ადგილებითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით 24 პროფესიული სტუდენტისთვის თითოეულ ოთახში. ასევე დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A გარემოსთვის აუდიტორია, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობის ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში კოლეჯს მითითებული აქვს 10 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 3 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. ჩვენს მიერ მათი პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა რომ ყველა მათგანს უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დადასტურებულია მისი დანიშვნის აქტით.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციული ტექნოლოგია“ პსდ სრულად ახორციელებს დაწესებულების ბაზაზე - იმიტირებულ გარემოში. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, სადაც შესაძლებელია სტუდენტთა ექსკურსიების ორგანიზება გაცნობითი პრაქტიკის მოდულის განხორციელების პროცესში. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს კომპანიასთან შპს „ახალი ქსელები“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სკოლამდელი აღზრდა“ – (ქ. თბილისი)

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 136 პროფესიული სტუდენტი. იმის გამო, რომ დაწესებულების B გარემო მხოლოდ 20 სტუდენტზეა გათვლილი, კოლეჯს მოუწევს ჯგუფის გაყოფა მოდულისათვის „ინფორმაციული წიგნიერება 2“. ექსპერტთა ჯგუფმა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმების ჭრილში შეისწავლა B გარემოს გამტარობა და დაადგინა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვა შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან აღნიშნულ გარემოს იყენებს დანარჩენი ოთხი პროგრამის განხორციელებისათვის (B გარემო).აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია დაწესებულების სასწავლო ნაწილთან. ექსპერტებთან საუბრის შემდეგ დაწესებულებამ გადაამუშავა საექთნო საქმისა და ფარმაციის პროგრამების სასწავლო გეგმები და დაამტკიცა ახალი რედაქციით, რამაც დაწესებულებას საშუალება მისცა შეემსუბუქებინა აღნიშნული გარემოს დატვირთვა. დაწესებულების მიერ სწავლებისათვის გამოყოფილი გარემო საშუალებას იძლევა ცვლებში მიიღოს 136 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას პროგრამის თეორიული სწავლებისათვის გამოყოფილი აქვს ორი A და ერთი B სასწავლო გარემო გარემო. პრაქტიკული სწავლის შედეგები, რომლებიც არ მიიღწევა სასწავლო კოლეჯში, გატანილია პრაქტიკის ობიექტებზე-საბავშვო ბაღებში. წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ორი A და ერთი B გარემო. თითოეული A გარემო აღჭურვილია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით 34 პროფესიულ სტუდენტზე. პროფესიული მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 18 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე

მასწავლებელი, აქედან 7 ზოგადი და 11 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. პროფესიული მასწავლებლების მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით თავი 14 მუხლი 69. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად არცერთი განმახორციელებლის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“ – (ქ. თბილისი)

ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ერთი A და ერთი B გარემო. თითოეული A გარემოს აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით 60 (2 ცვლაში 120 სტუდენტზე) პროფესიულ სტუდენტზე. B გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე, დაწესებულებამ განაცხადა, რომ აღნიშნულ გარემოში ჯგუფი დაიყოფა. B გარემოს გამტარობის დოკუმენტი წარმოდგენილია აღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით. პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ ობიექტებთან: სს „ევექსის ჰოსპიტლები“, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „კარიტასი“, შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 26 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 7 ზოგადი და 19 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი როგორც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ყოველკვირეულად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რაც დაცულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონულისახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმითგათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა დამოთხოვნილებების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)– (ქ. თბილისი)

ექსპერტის განცხადებით, 2022 წელს მიღებაზე გამოცხადებულ 51 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 155 აპლიკანტი. დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, ჰყავს ძლიერი პარტნიორი - სააფთიაქო ქსელის შპს ,,ავერსი - ფარმას“ სახით. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ექსპერტის განცხადებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნა :სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, სასწავლო რესურსის რაოდენობა, სასწავლო სივრცე - A, B, C . სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების, ინვენტარისა და აღჭურვილობის რაოდენობა და პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, სააფთიაქო ქსელებთან ,,ავერსი-ფარმა“, შპს,,იბერიაფარმა+“, შპს ,,ნეოფარმა“+. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოდულების განხორციელებისათვის

საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. შესწავლილი იქნა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი (მატერიალური და ელექტრონული) და დადასტურებულია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. რესურსების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ რიგი მოდულებში მითითებული რესურსი შესაცვლელი იყო. წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ერთი A და ორი B გარემო და ერთი C გარემო . A გარემოს აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით 58 პროფესიულ სტუდენტზე. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა,რომ A და ერთი C გარემოში განთავსებულია საჭირო რესურსი 58-58 პროფესიულ სტუდენტზე. აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 112 პროფესიული სტუდენტი (ორი ცვლის გათვალისწინებით). შედგა ინტერვიუ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, რომელთაც აქვთ ფარმაცევტის კვალიფიკაცია და აქვთ პროფესიულ სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება. ,ავერსი ფარმას“ თბილისში აქვს 145- ზე მეტი აფთიაქი აქვს და თითოეულ ობიექტზე ანაწილებენ მაქსიმუმ 2 პროფესიულ სტუდენტს. გასაუბრებისას გაგვიმარტეს, რომ ამ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის ფორმატს, პროფესიულ სტუდენტთა გადანაწილებას, სწავლებასა და კომუნიკაციის არხებთან დაკავშირებით, ასევე, კურსდამთავრებულთათვის ვაკანსიების შეთავაზებისა და მათი დასაქმების ხელშეწყობის საკითხებს აგვარებს პროგრამის ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“ – (ქ. თბილისი)

ექსპერტის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ საჭიროებს A, B და C სასწავლო გარემოს. შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - აუდიტორია (A), რომელიც აღჭურვილია 20 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და 1 მონიტორი პრეზენტაციებისთვის; ასევე აუდიტორია B სასწავლო გარმოსთვის, რომელშიც განთავსებულია 20 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთულია საბანკო პროგრამის “Alta” დემო ვერსია. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულებასს ნიკორა ტრეიდი, სს ლიბერთი ბანკი, „ორი ნაბიჯი“. „„საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით,დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან:1. ზოგადი მოდულებისთვის 7 განმახორციელებელი;2. პროფესიული მოდულებისთვის - 2 განმახორციელებელი.თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ერთი პროფესიული მოდულების მასწავლებელი აქტიურად არის ჩართულიმთლიანი კვირეული დატვირთვით “ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის მოდულების განხორცილებაზე.შესაბამისად, თუ მომავალში ორ-ორი ჯგუფი შეიქმნა “ბუღალტრულ აღრიცხვასა” და “საფინანსო სერვისებში”,თუნდაც ორ ცვლაში მოცემული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა გადააჭარბებს 40 საათს.მიმდინარე ეტაპზე პროფესიული მასწავლებლების კვირის დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიულიმასწავლებლების მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია, დაწესებულებისსაგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით თავი 14 მუხლი 69. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივიკომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონულისახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით

გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმითგათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა დამოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებულიმხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“ – (ქ. თბილისი)
ექსპერტის განცხადებით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯმა "კავკასიონი" პროგრამისათვის ,,ბუღალტრული აღრიცხვა" " განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებისათვის განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: პარტნიორ ორგანიზაციებთან კონსულტაცია-შპს გორგია, შპს ნიკორა ტრეიდი, შპს ორი ნაბიჯი, წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად დადგინდა რომ ბუღალტრის პოზიცია მუდმივად მოთხოვნადია და შესაბამისი კადრების მოძიება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. 2. დასაქმების საიტების jobs.ge, hr.ge, hr.gov.ge შესწავლა- დასაქმების საიტებზე ვაკანსიების შესწავლის შედეგად დადგინდა რომ თბილისში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციებს-შპს ევრომეტალი, სპს ადლი, შპს ბიოდიზელი ჯორჯია, ემ-ემ-ტე ჰოსპიტალი, KFC, შპს აბა ქონსალთინგი- გამოცხადებული აქვს ვაკანსია ბუღალტერ-ოპერატორის, უფროსი ბუღალტერის პოზიციაზე (საერთო ჯამში 175_ზე მეტი ვაკანსია). ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "ბუღალტრული აღრიცხვა" პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან პირები ჩარიცხვის პროცედურის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ საჭიროებს მხოლოდ A და B სასწავლო გარემოს, (მოცემული პროგრამა ა მოითხოვს C სასწავლო გარემოს.). შესაბამისად შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - A სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია 20 სამუშაო ადგილით, ასევე B სასწავლო გარემოსთვის განსაზღვრული აუდიტორია, რომელშიც განთავსებულია 20 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთულია საბუღალტრო პროგრამის „Oris" დემო ვერსია.

ექსპერტის განცხადებით, ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან: 1. ზოგადი მოდულებისთვის 7 განმახორციელებელი; 2. პროფესიული მოდულებისთვის - 2 განმახორციელებელი. გამომდინარე იქიდან, რომ დარგობრივი მოდულების მხოლოდ ორი განმახორციელებელია, ორი ჯგუფის პარალელურ რეჟიმში სწავლების შემთხვევაში შესაძლოა კვირეულმა დატვირთვამ გადააჭარბოს 40 საათს და საფრთხე შეუქმნას განხორციელების მდგრადობას. მიმდინარე ეტაპზე პროფესიული მასწავლებლების კვირის დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ დისტანციური სწავლების პერიოდში, საწყის ეტაპზე, ჰქონდათ გამოწვევა სასწავლო რესურსთან დაკავშირებით, მაგრამ მალევე მიეწოდათ გაციფრულებული სასწავლო რესურსი. დაწესებულებამ სწორედ პანდემიის დროს დაიწყო სასწავლო რესურსის სრულად დიგიტალიზაციის პროცესი და 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში არსებული რესურსების სრული გაციფრულება. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს, შესაბამისად ყველა შედეგი ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ – (ქ. თბილისი)
ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 40 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია A-B გარემო აუდიტორია #8, რომელშიც განთავსებულია - 20 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი,დაფა და ტელევიზორი, 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, და აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 12 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 10 ზოგადი და 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. პროფესიული მასწავლებლების მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით თავი 14 მუხლი 69. დაწესებულების მიერ, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად არცერთი განმახორციელებლის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციული ტექნოლოგია“ პსდ სრულად ახორციელებს დაწესებულების ბაზაზე - იმიტირებულ გარემოში. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, სადაც შესაძლებელია სტუდენტთა ექსკურსიების ორგანიზება გაცნობითი პრაქტიკის მოდულის განხორციელების პროცესში. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს კომპანიასთან შპს „ახალი ქსელები“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ როგორ ხსნიდა დაწესებულება სტუდენტებისთვის წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოსადგენად მიცემულ ასეთ გრძელ ვადას.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა სტუდენტების განაცხადი, სადაც აღნიშნულია, რომ ისინი შეძლებდნენ გონივრულ ვადაში წარმოედგინათ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ ზედმეტად დიდი ვადა ჰქონდა სტუდენტებს მიცემული აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუმცა მიუხედავად ამ ვადისა სტუდენტებს არ წარმოუდგენიათ ან ვერ მოახერხეს დოკუმენტის წარმოდგენა, შესაბამისად კოლეჯმა შეუჩერა სტატუსი. ვინაიდან, კანონის გათვალისწინებით, ჩარიცხვის წინაპირობა დოკუმენტის წარმოდგენაა და ასევე, დაწესებულებასაც აღნიშნული თვითონვე ჰქონდა რეგულაციაში გაწერილი, რომ ასეთ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო სტატუსის შეწყვეტა და არა შეჩერება, ექსპერტებმა აღნიშნული დააფიქსირეს, როგორც ხარვეზი. მისი თქმით, მსგავსი პრობლემების წარმოქმნისას დაწესებულებაში პასუხისმგებელ პირად ითვლება სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექპერტს კითხვით „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებში, ჰქონდათ თუ არა პროფესიულ სტუდენტებს რაიმე სახის ანაზღაურება, როცა ისინი პრაქტიკის ობიექტზე ასრულებდნენ სამუშაოებს ან მორიგეობას.

დარგის ექსპერტის განცხადებით, ევექსის ჰოსპიტლების ქსელს აქვს საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებდა ბონუსის სისტემას. პროფესიული სტუდენტები თავდაპირველად იკავებდა თანაშემწის პოზიციას. გარკვეული მოდულების გავლის შემდეგ ხდებოდა მათი დასაქმება და შესაბამისად, ხელფასის აწევაც. ევექსის ჰოსპიტლების ცენტრს, სადაც დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება, როგორც ქუთაისში, ასევე თბილისში, საკმაოდ კარგი პრაქტიკა ჰქონდა უწყვეტი განათლების სისტემაზე და სტუდენტები ძალიან კარგ გარემოში ხვდებოდნენ კომპეტენტური ინსტრუქტორების ჩათვლით, იქედან გამომდინარე, რომ მათ უკვე ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება სტუდენტების შეფასების ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექპერტს კითხვით „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებში, რომელიმე პრაქტიკული მოდული ხორციელდებოდა თუ არა დაწესებულებაში.

დარგის ექსპერტის განმარტებით, პრაქტიკული მოდულები მთლიანად გატანილი იყო, ასევე, შინ მოვლის მოდულიც მთლიანად გატანილი იყო კარიტასში. ყველა პრაქტიკის ობიექტზე თითოეული ინსტრუქტორი ძალიან კარგად ფლობდა ინფორმაციას მოდულების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექპერტს კითხვით „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებში, აღნიშნულ პრაქტიკის ობიექტზე მხოლოდ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ შეჰყავდა თავისი სტუდენტები, თუ იყო სხვა დაწესებულებებიც.

დარგის ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას ჰყავდა 40-მდე ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სხვა დაწესებულების მიერ მობილიზებულ სტუდენტებსაც კი, იმიტომ, რომ ევექსის ჰოსპიტლები საკმაოდ დიდი იყო, შესაბამისად აღნიშნულის რესურსი ნამდვილად ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექპერტს კითხვით, „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებში, ხომ არ შეუმოწმებია დასაქმების მაჩვენებელი.

დარგის ექსპერტის განცხადებით, ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებში 95% იყო დასაქმებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებში, საკვალიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით როგორი ტიპის პრაქტიკა ჰქონდა დაწესებულებას ამ მიმართულებით. ყველა სტუდენტი, რომელიც გადიოდა საკვალიფიკაციო გამოცდაზე აბარებდა გამოცდას თუ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რჩებოდნენ შეფასების გარეშე.

დარგის ექსპერტის განმარტებით, სტუდენტებთან ინტერვიუირების საფუძველზე დადასტურდა, რომ ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდის შემდეგ შეფასების გარეშე არცერთი არ დარჩენილა, ასევე შეფასებასთან დაკავშირებით თვითონ ინსტრუქტორებს ინტერვიუს ფარგლებში არ დაუდასტურებიათ მსგავსი პრაქტიკა, რომ რომელიმეს გამოცდა ვერ ჩაებარებინა და დარჩენილიყო შეფასების გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექპერტს კითხვით, „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ პროგრამის ფარგლებში, ქ. ქუთაისის ლოკაციაზე ის ხარვეზები, რაც ექსპერტებმა დააფიქსირეს მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ხომ არ უშლიდა ხელს იმ მომენტში სასწავლო პროცესის განხორციელებას.

დარგის ექსპერტის განცხადებით, მის მიერ მოხდა სასწავლო გეგმის შესწავლა და დაადგინა, რომ აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება კოლეჯს შეეძლო. ის მოდულები, რაც საჭიროებდა მასალა-ნედლეულს, საკმარისია იმისათვის, რომ დროულად შეიძინოს და განახორციელოს სასწავლო გეგმა, რაც შესაბამისობის გეგმაში ჰქონდა დაწესებულებას. არსებული მომენტისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი ნამდვილად არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექპერტს კითხვით „საფინანსო სერვისების“ პროგრამის ფარგლებში, რა არგუმენტის საფუძველზე ჩათვალეს, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო 24 და არა 48.

დარგის ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი ითხოვდა 48 პროფესიულ სტუდენტს, ვიზიტის შემდგომ აღნიშნული სურათი იქნა შეცვლილი და კოლეჯი ექსპერტებთან ერთად შეჯერდა 24 პროფესიულ სტუდენტზე. მისი თქმით, აღნიშნულის საფუძველი იყო შემდეგი: „საფინანსო სერვისების“ პროგრამა ხორციელდებოდა A, B, და C გარემოში. C გარემოსთან დაკავშირებით ხელშეკრულებაც და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებიც გაფორმებული ჰქონდათ პრაქტიკის ობიექტებთან და ყველაფერი წესრიგში იყო ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციაც შესაბამისი იყო, თუმცა პროფესიული მასწავლებლები რაოდენობრივად, რომ შევადაროთ ორივე ლოკაციაზე აღნიშნული მიმართულებით ქ. თბილისის კოლაციაზე აღნიშნული მიმართულებით ჰყავდათ 2 პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ახორციელებდა პროფესიულ მოდულს და ასევე ზოგად მოდულს ჰყავდა 7 განმახორციელებლი. ვიზიტის ფარგლებშივე კოლეჯმა წარმოადგინა თავიანთი კურსდამთავრებული საფინანსო სერვისების მიმართულებით, რომელიც ამჟამად მუშაობდა ბანკში, აღნიშნულმა პიროვნებამ გამოთქვა სურვილი დაემატებინათ კიდევ ერთი განმახორციელებელი. რაც შეეხება, ქუთაისის ლოკაციას დაწესებულებას ჰყავდა 2 განმახორციელებელი საფინანსო სერვისების მიმართულებით, აღნიშნული განმახორციელებლებიდან ერთ-ერთი იყო, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელი, მეორე კი პრაქტიკოსი, რომელიც მუშაობდა ბანკში. ორივე პირი იყო საკმაოდ კარგი გამოცდილებით და კომპეტენციით, თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ამავე დროს იყო სასწავლო ნაწილის სპეციალისტი, შესაბამისად მას სერიოზული დატვირთვა ჰქონდა. მისი თქმით, ამ ეტაპზე აღნიშნული არანაირი საშიშროებას არ უქმნიდა პროგამის განხორციელებას, იმიტომ, რომ კოლეჯს ჰყავდა სტუდენტები ერთ ცვლაში. მატერიალური რესურსი პროგრამის განსახორციელებლად საკმარისი იყო, თუმცა პროფესიული მასწავლებლების მხრივ მომავალში მდგრადობა ეჭვქვეშ დადგებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, „საფინანსო სერვისების“ პროგრამის ფარგლებში, ხომ არ განუხილავთ დასაქმების შესახებ საკითხი.

დარგის ექსპერტის განცხადებით, დასაქმების მაჩვენებლი ნორმალური იყო საფინანსო სერვისების მიმართულებით, იმიტომ, რომ ზოგადად საფინანსო სფერო მზარდი სეგმენტი იყო საქართველოში და აქედან გამომდინარე, სასწავლებელი საკმაოდ კარგად უწყობდა ხელს თავიანთ კურსდამთავრებულებს დასაქმებაში. რაც შეეხება ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით, დაწესებულებას ერთი წელია, რაც ეს პროგრმა არ განუხორციელებია, თუმცა კოლეჯის ნარატივიდან აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით იყო იმედები იმისა, რომ უფრო გაიზრდებოდა მომართვიანობა. რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს ბუღალტრულ

აღრიცხვაში ქ. თბილისის ლოკაციაზე კურსდამთავრებულები ამ მიმართულებით დასაქმებულნი არ იყვენენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტების დასკვნის პროექტის საფუძველზე მათ მიერ შემუშავდა შესაბამისობის გეგმა, სადაც ნათლად იყო გაწერილი ის აქტივობები, რომელსაც ჩაატარებდა კოლეჯი, ასევე, გაწერილი იყო შესაბამისი პასუხისმგებელი პირებიც. იმისათვის, რომ დოკუმენტაცია ყოფილიყო სრულფასოვანი და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისი, დაწესებულებამ აიღო ვალდებულება გარე ექსპერტთა ჯგუფთან ეთანამშრომლა იმ ხარვეზების და რეკომენდაციების აღმოსაფხვრელად, რაც დაფიქსირდა. აღსანიშნავია, ხარისხის მომუშავე პოზიციაზე მყოფმა სამმა პირმა გაიარა ცენტრის გადამზადება ხარისხის სერტიფიცირების პროცესში და შესაბამისად ისინი უკვე კვალიფიციური კადრად შემოუერთდება კოლეჯს. ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში დააფიქსირა, რომ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში არ იყო გაწერილი არსებული საკითხების დაძლევის შესაძლებლობები, შესაბამისად, გამოითქვა მზაობა არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ და კოლეჯი მზად იყო ამ ნაწილში ეთანამშრომლა. მისი თქმით, წინარე განათლების დოკუმენტის წარმოდგენასთან დაკავშირებით, დაწესებულება ჩარიცხვამდე აპლიკანტებს აძლევდა სამ დღიან ვადას, რომ წარმოედგინა წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მაგრამ ხშირად დგებოდა ის ფაქტი, რომ აპლიკანტებს არ ჰქონდათ ატესტატი ან დიპლომი გამოტანილი შესაბამისი დაწესებულებიდან და დროულად ვერ ხდებოდა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ რა ვადა იყო მათი პრაქტიკიდან გამომდინარე, რომ სტუდენტს წარმოედგინა აღნიშნული დოკუმენტაცია.

დაწესებულებს წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯებთან განათლების სამინისტროსა და ემისის წარმომადგენლების ღია შეხვედრის დროს არაერთხელ გაჟღერებულა, რომ პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ სტუდენტს ხელი, მივცეთ შესაბამისი ვადა და თუ ვერ მოახერხებდა აღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოდგენას, შემდეგ შეუჩერდეს/შეუწყდეს სტატუსი. კოლეჯის გამოცდილებიდან ფიქსირდებოდა ის ფაქტები, რომ ზოგიერთ სტუდენტს იუსტიციიდან არ ჰქონდა გამოტანილი ატესტატი, ზოგს დიპლომი არ ჰქონდა სასწავლებლიდან გამოტანილი და ა.შ, რის თაობაზეც წერდნენ განაცხადს, შესაბამისად კოლეჯმა შეცვალა რეგულაცია და განისაზღვრა დრო 6 თვე, იმ შემთხვევაში თუ 6 თვის გამავლობაში არ მოხდებოდა განათლების წინარე დოკუმენტაციის წარმოდგენა, სტუდენტს შეუწყდებოდა სტატუსი. მისი თქმით, ცენტრმა სამინისტროსთან შეთანხმებით ცირკულარით ყველა კოლეჯს მისცა რეკომენდაცია - „განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში არ უნდა განხორციელდეს აღნიშნული პირების ჩარიცხვა. არსებობს ინფორმაცია, რომ გასულ წელს ამ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულებებს გააჩნდათ განსხვავებული პრაქტიკა. გთხოვთ, გონივრულ ვადაში უზრუნველყოთ თქვენი რეგულაციებისა და პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა კანონმდებლობის მოთხოვნებთან და რეკომენდირებულ მიდგომებთან“. ცენტრი აღნიშნული რეკომენდაციით ცალსახად გვეუბნება, რომ მომავალში არანაირი შეღავათი ვადების მიცემასთან დაკავშირებით არ იქნებოდა. თუ კანონმდებლობით სტუდენტს ემისში უდასტურდებოდა განათლება, ის უნდა გვეღიარებინა, მაგრამ კოლეჯი დამატებით ითხოვდა ატესტატის დოკუმენტსაც. რაც შეეხება მასწავლებელთა გადამზადებას, შეფასების საკითხში ექსპერტთა ვიზიტამდე უნარების სააგენტოსთან შეთანხმებული იყო სასწავლო ნაწილისა და

მასწავლებლების გადამზადება სწავლის მეთოდებსა და შეფასების სისტემებთან დაკავშირებით. გადამზადდა 15 მასწავლებელი თავისი სასწავლო ნაწილით და ყველა მასწავლებელმა ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის მასშტაბით თავის პრაქტიკის ინსტრუქტორებთან ერთად გაიარა ტრენინგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ სამომავლოდ, თავიდან რომ იქნას მსგავსი გაუგებრობა აცილებული, უკეთესი ხომ არ იქნებოდა თვითონ რეგულაციაში ჩაიწეროს, რომ სტატუსი კი არ შეუწყდეს სტუდენტს, არამედ შეუჩერდეს, რა თქმა უნდა აღნიშნული თუ არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დღევანდელი რეგულაციით აღნიშნული საკითხი საერთოდ ამოღებული იყო დღის წესრიგიდან, იმიტომ, რომ სამი დღის ვადის გარდა სტუდენტს არ ჰქონდა უფლება საბუთის წარმოდგენისა.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.
საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულებას ყველა სტანდარტში დაუფიქსირდა გარკვეული შეუსაბამობები, რომელიც ნამდვილად სერიოზულია, თუმცა გამოსწორებადი და ამისთვის კოლეჯს აქვს 6 თვის ვადა, რაზეც თავისი რესურსები უნდა მიმართოს აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად. 2.1 კომპონენტთან დაკავშირებული ხარვეზი საბჭომ ძალიან დეტალურად განიხილა, ჯერ ექსპერტებთან დასმული კითხვებიდან გამომდინარე და შემდეგ დაწესებულების წარომადგენელთან გასაუბრებითაც. საბჭოს აზრით, ერთის მხრივ, დაწესებულების რეგულაცია, რომელიც მოითხოვდა 4-6 თვის ვადას დოკუმენტაციის წარმოსადგენად და წარმოუდგენლობის შემდეგ სტატუსის შეწყვეტას, მოითხოვს კორექტირებას და ცვლილებების შეტანას. თუმცა დაწესებულებამ დაარღვია თავისივე შეუსაბამო რეგულაცია და სტუდენტს სტატუსი შეუჩერა ნაცვლად შეწყვეტისა. მეორეს მხრივ, ამ გარემოებას არ გამოუწვევია რაიმე ნეგატიური ზეგავლენა სასწავლო პროცესზე და მისი ხარისხის გაუარესება. მისი თქმით, გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ ასევე მნიშვნელოვნად ჩათვალა და გაითვალისწინა, რომ სტუდენტების სტატუსის შეჩერება მოხდა მანამ, სანამ ჩაინიშნებოდა ექსპერტთა ვიზიტი და ექსპერტთა ვიზიტის დროს ფაქტიურად არ ფიქსირდებოდა სტუდენტი, რომელიც არასწორად იყო ჩარიცხული. ამასთან საბჭო თვლიდა, რომ 2.1 ში დაფიქსირებული ხარვეზის მიზეზი არის შეუსაბამობები, რომელიც დაშვებულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში, რაც საბოლოო ჯამში, იწვევს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის არასწორ ინტერპრეტაციას, შესაბამისად აღნიშნული ხარვეზი გადატანილი იქნება 3.1 ნაწილში. აღსანიშნავი იყო, რომ 3.1 ნაწილი დაწესებულებას ისედაც დახარვეზებული ჰქონდა და იქ შესაბამისობის რეკომენდაცია იყო გაცემული, რომელიც გახდებოდა მონიტორინგის საგანი. რაც შეეხება მონიტორინგს, მონიტორინგი ჩაინიშნებოდა ყველა იმ კომპონენტში, რომელიც დაფიქსირებული იყო ექსპერტების მიერ და ეს არის: 1.2, 3.1, 4.1, 5.1 და 5.2 კომპენენტები. დამატებით ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამაში უნდა ჩაინიშნოს 2.2 და 2.4 კომპონენტში მონიტორინგი, რომელიც უნდა განხორციელდეს ქ. ქუთაისში. საბჭო ფიქრობს, რომ შესაძლებელია ვიზიტი ჩატარდეს ერთ ადგილზე ქ. ქუთაისში, დანარჩენი ყველა კომპონენტი დაკავშირებული იყო რეგულაციებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" (ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის ლოკაცია) ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ (ს/კ: 412683813), 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები ქალაქ თბილისისა და ქალაქ ქუთაისის ლოკაციებზე **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 29 სექტემბერი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“ (ს/კ: 412683813) ქალაქ ქუთაისის ლოკაციაზე 1.2, 3.1, 4.1, 5.1 და 5.2 კომპენენტებში, დამატებით ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის ფარგლებში ჩაინიშნოს მონიტორინგი 2.2 და 2.4 კომპონენტში, რომელიც განხორციელდება ადგილზე ვიზიტით. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 12 მარტი.

საბჭოს წევრებმა ნატალია კვაჭანტირაძემ და რუსუდან გიგაშვილმა დატოვეს საბჭოს სხდომა.

მეორე საკითხი: შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაი დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ვასაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს N 956046 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - ია გელენიძე დაევალა ვიზიტი სსიპ კოლეჯ „მესამე სამედიცინოში“, მისამართი: (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #142).მიმდინარე წლის 09 აგვისტოს, "საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება კოლეჯის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, განმახორციელებელ პირებს. დაათვალიერეს მატერიალური რესურსი-A გარემო, B გარემო,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა ოთხივე პრაქტიკის ობიექტი, რომელთანაც პრაქტიკის დაწესებულებას გატანილი აქვს კლინიკური მოდულები. მოხდა გასაუბრება ხელმძღვანელობასა და პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პრგრამის განხორციელების გამოცდილება. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 10 ივლისის #856622 გადაწყვეტილებით „შპს „კოლეჯ მესამე სამედიცინოს“ ავტორიზაციის შესახებ“, კოლეჯს არ მიენიჭა უფლებამოსილება განეხორციელებინა საექთნო განათლების პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლის თანახმად გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2023 წლის 19 ივლისიდან. ამ დროისთვის საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა დასრულებული იყო და დამამთავარებელი კურსის სტუდენტებს უწევდათ საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელიც დაგეგმილი იყო 4.07.2023-7.07.2023 პერიოდში. თუმცა, დაწესებულებამ გააუქმა აღნიშნული გამოცდა. კოლეჯის დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა,რომ რადგან საბჭოს სხდომა დაგეგმილი იყო 10.07.2023-ში და დაწესებულებას ჰქონდა ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, მიიღო გადაწყვეტილება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღის გაუქმების შესახებ სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტთა უფლებების დაცვას

კოლეჯის მარეგულირებელი დებულების 35-ე მუხლის შესაბამისად. საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად პროგრამის განხორციელების უფლება მიეცა დაწესებულებას 19 ივლისამდე, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდა საბჭოს სხდომაზე 2023 წლის 10 ივლისს. დაწესებულებამ მოახდინა პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ დაჩქარებული წესით ჩაებარებინათ საკვალიფიკაციო გამოცდა. თუმცა პროფესიულმა სტუდენტებმა 2023 წლის 12 ივლისს ერთობლივი განცხადებით(რეგისტრაციის ნომერი#66;14.07.2023) მიმართეს კოლეჯის დირექტორს, რომ უარს აცხადებდნენ დაჩქარებულ დროში გამოცდის ჩაბარებაზე. განცხადებას ხელს აწერდა 13 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, კოლეჯმა სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე არ ჩაატარა საკვალიფიკაციო გამოცდა. ექსპერტთა მოსაზრებით, საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე, დაგეგმილ დროს უნდა მომხდარიყო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება და სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა, რადგან ამ პერიოდისთვის სამართლებრივად არ ჰქონდა პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება შეწყვეტილი. ვიზიტისას დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, რომ პროგრამის დამატების შემთხვევაში პროცესი წარიმართებოდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 23 აგვისტოს #8351 წერილით არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დააფიქსირა თავისი მოსაზრებები. არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდგომ ექსპერტთა შეფასება არ შეცვლილა და საბოლოო დასკვნა ჩამოყალიბდა იგივე ფორმით.

ექპსერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დაწესებულებამ მოცემული პროგრამა პირველად დაიმატა 2019-2020 წლისათვის, წარმატებით ახორციელებდა და ყოველთვის იყო მოთხოვნა როგორც პოტენციური სტუდენტების, ისე დამსაქმებელთა მხრიდან. ვიზიტისას გამოთხოვილ იქნა სტატისტიკა კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის შესახებ. დაწესებულებას არ წარმოუდგენია აღნიშნული, თუმცა კოლეჯის დირექტორმა და პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნეს, რომ დასაქმების მაჩვენებელი ძალიან მაღალია და ხშირ შემთხვევაში პრაქტიკის ობიექტებზე ხდება მათი დასაქმება.ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების შემთხვევაში, რაც თანხვედრაშია საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტთან.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს სარგებლობაში არსებულ ფართზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №142-ში, სადაც კეთილმოწყობილია 447,36 მ2 ფართი და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის, კოლეჯის გააჩნია:A

სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ვიზუალური თვალსაჩინოებებით (სულ 4 აუდიტორია, სულ 80 ადგილი, გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საექთნო განათლება), B სასწავლო გარემო და AC სასწავლო გარემო, ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ვიზუალური თვალსაჩინოებებით, გამოკრულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციები. კოლეჯი კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნით თანამშრომლობს შემდეგ ობიქტებთან: სს „ევექსის ჰოსპიტლები, შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა, შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“. პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 24 პროფესიულ მასწავლებელთან და კლინიკური მოდულის განმახორციელებელ 34 პირთან. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 28 იანვრის №2 ბრძანებით დამტკიცებულია „ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომელიც განსაზღვრავს შიდა ვერიფიკაციის პრინციპებსა და მიმართულებებს, შიდა ვერიფიკაციის განხორციელების პროცედურებს, შიდა ვერიფიკაციის განხორციელების ეტაპებსა და მიდგომებს, სწავლის შედეგის/შედეგების შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, შეფასების პროცესის ვერიფიკაციას, შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან მიმართებაში.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ მიმართა ექსპერტს კითხვით და აღნიშნა, რომ დასკვნის შესავალ ნაწილში აღწერილი იყო იმ სტუდენტების თაობაზე, ვისაც გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი. საინტერესო იყო აღნიშნულმა სტუდენტებმა ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები, თუ უარი თქვეს დანიშნული გამოცდის ჩაბარებაზე.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულმა სტუდენტებმა წერილობით დააფიქსირეს განცხადება, რომ არ სურდათ გამოცდის ჩაბარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზემოაღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ასევე, მათ მიეოწდათ ინფორმაცია, რომ დაჩქარებული წესით შეჰქონდა კოლეჯს პროგრამის დამატება. სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებლობა ჰქონდათ გადასულიყვნენ სხვა კოლეჯში მობილობით და იქ ჩაებარებინათ საკვალიფიკაციო გამოცდა ან დალოდებონენ პროგრამის დამატებას. დაწესებულება მზადყოფნას გამოთქვამდა ჩაეტარებინა აღნიშნული საკვალიფიკაციო გამოცდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას ეწერა 100 ადამიანი, საინტერესო იყო, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეეძლო კოლეჯს ერთ ჯერზე იმ რესურსის გათვალისწინებით, რაც ჰქონდა.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი 4 აუდიტორიაში ახორციელებდა აღნიშნულ პროგრამას, რომ 80 პროფესიული სტუდენტი მიეღო ერთ მიღებაზე, ფაქტობრივად ერთ ცვლაში შეეძლო 80 პროფესიული სტუდენტის მიღება და ის, თუ როგორ მოახდენდა აღნიშნულის რეგულირებას

დაწესებულება, ბუნდოვანი იყო, იქედან გამომდინარე, რომ თუ ორ ცვლაში განახორციელებდა სასწავლო პროცესს, შეეძლო 460 პროფესიული სტუდენტის მიღებაც, თუმცა ამ შემთხვევაში ორ ცვლაზე არ იყო საუბარი, შესაბამისად, მატერიალური რესურსი, რაც დაწესებულებას ჰქონდა, იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ საერთო ჯამში 100 სტუდენტზე მეტი მიეღო. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, უშუალოდ იყო ჩადებული ის პირობები, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეეძლო თითოეულ პრაქტიკის ობოექტს, მაგალითად: ევექსის კლინიკაში ერთდროულად შესაძლებელი იყო 80 პროფესიული სტუდენტის მიღება, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში 40 პროფესიული სტუდენტის მიღება, შესაბამისად, ეს არ გამორიცხავდა ორ ან სამ მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯ „მესამე სამედიცინოსათვის“ „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს კოლეჯ „მესამე სამედიცინოს“(ს/კ: 404935273) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 18 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	136
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	112
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაცის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	76
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	288
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	112
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	24
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	48
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	44
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, აკაკი წერეთლის გამზირი №142
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210